



**გაზეთის ფასი:** ერთი წლით თფილისში 7 მან., ნსხევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნსხევარი წლით 4 მან., სსში თვით 2 მან., თითო ნაბეჭდი—15 კახ.  
 ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, თეატრის ქუჩა, № 12. ტელეფონი № 734.  
 თფილისის ადრესი: Тифлисъ. Редакция „КВАЛИ“.

**ზინაარსი:** შეუსაბამო სხეული, ფ. გ-სა—სუბარო სხვა-და-სხვა საგნებზე, მოსუბრისა.—შინაური მიმხინაღვა.—სხვა-და-სხვა აბე-ბი.—კარესნონდენციები—საზღვარ-გარეთ.—რუსეთის ცნაფრება.—\* \* \* ლექსი, დარია ხუნდაძისა.—შიროსა, ფრანკოსი.—ფჯასის წარმომბა და განვითარება, გრ. რობაქიძისა.—ცოტა რამ ფარმა-ცევტა მდგომარეობის შესახებ, სარდიონ მამილაძისა.—წერილი რედაქციის მიმართ.—საქველ-მოქმედა საქმე.—განცხადებანი.

კვირას, 10 მარტს. **პართული თეატრი.** 1902 წელს.

**3. ა. აბუშიძის**

25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავათ ქართულ სცენაზე ქართულ დრამატულ საზოგადოების გამკეობის მიერ გამართულ იქნება **სადღესასწაულო წარმოდგენები:**  
 დილით: დასაწყისი 1 საათზე. წარმოდგენილი იქნება სცენები თავ. გ. ერისთავის კომედიადან **„ივანე“** თვითონ აუბალიანის და მთელი დასის მონა-წილეობით; დასასრულ **სადღესასწაულო მილოცვაები და სხვ.**  
 საღამოთი: დასაწყისი 8 საათზე.

მესამე მოქმ., გოგოლის, კომედ. **„რევიზორი“**; მეორე მოქმ., ს. ცაგარდის, კომედ. **„ხანუმა“**; მესამე მოქმ., შოლეურის, კომედ. **„მუხომუხალა“**; მესამე მოქმ., სუნდუკიანის კომედ. **„ხათაბალა“**. დასასრულ **აპოთეოზი.**  
 ადგილების ფასი საბენეფისოა.  
 დრამატული საზოგადოების ადმინისტრაცია.

**შუასაბამო სახელი.**


(სამეურნეო ბანკი).  
 აგერ ექვს წელიწადზე მეტია, რაც ამ ჩვენ ქალაქში, დაარსდა და მოქმედობს ერთი ბანკი, რომელსაც სახელით „სამეურნეო კრედიტის საურთიერთო საზოგადოება“ ეწოდება. მის დაშარსებულთ აზრათ ქონიით მეურნეთათვის კრედიტის ოპოვების გაადვილება და ამით მეურნეობის განვითარებისთვის ხელის-შეწყობა. ამის-და მიხედვით ბანკისთვისაც სახე-ლით „სამეურნეო“ დაურქმევიათ. ეს ყოფილა მათი განზრახვა. მაგრამ ცხოვრებაში განზრახვა ხშირათ განზრახვათვე რჩება, და აქაც სწორეთ ასე მოხდა. ბანკი დაარსდა, მოქმედებს კიდევ, მხოლოთ ამ მოქმედებაში მეურნეებისთვის სესხის მიცემას და კრედიტის მოპოვებას ძალიან ცოტა ადგილი უკავია, ისე ცოტა ადგილი, რომ შეიძლება ეთქვათ, სულ უადგილოთ არისო.  
 ჩვენ ხელთ გვაქვს მხოლოთ ბანკის 3 წლის (1898—1900) ანგარიშები, მაგრამ ავ აზრის ცხად-საყოფელით აქ მოქცეული ცნობებიც საკმარისია.

1901 წლის 1 იანვრისთვის ბანკს ყოლია 810 წვერი. ანგარიშიდან არა ჩანს, რა და რა ხელობის არიან ეს წვერები, სახელდობ რაჲდენია მათში მეურნე. მაგრამ არ გვერ-ნია შევცდეთ, თუ ვგუთლებთ, რომ წვერთა დიდ-ძალ უმრავ-ლესობას შეადგენენ ვაჭრები და მრეწველები და არა მეურ-ნეები.

ბანკი უშვრება დისკონტს მხოლოთ წვერების ვექსილებს. ხსენებულ 3 წლის განმავლობაში მას შესვლია 1.401.270 მანათის ვექსილები სადისკონტოთ და ამ-ჯამის შესაფერი ფულიც მიუცია ვექსილების წარმდგენლებისთვის. ე. ი. ერთ მილიონზე მეტი კრედიტით უსარგებლიათ ბანკიდან იმ წვერებს, რომლებსაც სავაჭრო ვექსილები წარუდგენიათ სა-დისკონტოთ. რადგანაც ბანკის წვერთა უმრავლესობას ვაჭრე-ბი და მრეწველები შეადგენენ, ცხადია, ეს კრედიტც უმთავ-რესათ მათ ხედენიათ წილით.

იმავე 3 წლის განმავლობაში ბანკს აულია წვერებისგან გირაოთ სარგებლიანი ქალაღდები და სხვა და სხვა სავაჭრო საქონელი და ამავებში გაუცია სესხათ 217.983 მანათი. ცხა-ლია, რომ მეურნეები აქაც არაფერ შუაში არიან. ჩვენ მეურ-ნეებს ჯერ, სამწუხაროთ, არც სარგებლიანი ქალაღდები მო-ეპოვებათ და არც სავაჭრო საქონელი დასაგირავებლათ. აქაც კრედიტით ისევ ვაჭრებსა და მრეწველებს უსარგებლიათ. მა-შასადამე, ამათ 3 წელიწადში, ვექსილებათ თუ სარგებლიან ქალაღდებისა და საქონლის დაგირავებით, სულ 1.519.254 მანათი გამოუტანიათ „სამეურნეო“ ბანკიდან სესხათ. მო-კლეთ თუ მოვკრით, ეს არის ერთ ნახევარი მილიონი მა-ნათი, 3 წელიწადში სესხათ გაცემული ვაჭრებსა და მრეწვე-ლებზე.

ანლა ევიტხოთ: რამდენია ის კრედიტი, რომლითაც მეურნეებს უსარგებლიათ? 1898—1900 წლებში „სამეურნეო“ ბანკს სხვა-და-სხვა სამეურნეო ნაწარმოებისა აულია გირაოთ-რასაკვირველია, სამეურნეო ნაწარმოების დამკრავებელი უე-ქვედათ მეურნე არ უნდა იყოს. იგი შეიძლება ვაჭარიც იყოს, რომელსაც მეურნისაგან ნაწარმოები უყილია, მაგრამ, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, ჯერ ვერ ყილის; თანაც ფული სხვა



რამეზე ესაჭიროება და ამიტომ საქონელს აგირავენ. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც სამეურნეო ნაწარმოებთა დამგირავებლები მეურნეობათ ჩაეთვალათ. ასეთ ნაწარმოებებში ბანკისგან გაცემული სესხა უდრის 28.469 მანათს და 73 კაპიკს. ეს არის,—არც მეტი და არც ნაკლები. ზემოთ ნაჩვენებ ჯამთან შედარებით ეს 53-ჯერ ნაკლებია.

იქნება ვინმემ გვითხრას, რომ რა ბანკის ბრალია, თუ მეურნეები არ ეწვიებიან წევრებათ და კრედიტით არ სარგებლობენო. მაგრამ ჩვენ აქ ბრალიანობაზე სრულიათაც ლაპარაკი არა გვაქვს. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ფაქტს, რომელიც ასე თუ ისე საგულისხმეოა. და ამ ფაქტის ახსნა-განმარტებაზე ფიქრი და ლაპარაკი უფრო მნიშვნელოვანათ მიგვაჩნია, ვინემ ვინმესი მხილება უსაქმურობაში და საზარმაცეში. წვერათ არ-ჩაწერასა და კრედიტით ვერ-სარგებლობასაც ხომ თავისი მიზეზები აქვს, რა მიზეზებია ეს? ნუ თუ ჩვენს მეურნეს კრედიტი არ ესაჭიროება?

მეტიცაა თქმა იმისი, რომ კრედიტი მისთვის ძალიან საჭიროა. რამდენათაც მრავლდება მოთხოვნილებები და ირღვევა ძველებური კარ-ჩაცეტილი ეკონომია სოფელში, რამდენათაც მრავლდება იმ ნაწარმოებთა რიცხვი, რომლებიც მეურნემ უნდა იყიდოს თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, ირდენათვე მატულობს ბაზარზე გამოსატან და გასაყიდ სამეურნეო ნაწარმოებთა რიცხვი. ის ძველი დრო, როცა თითოეული ოჯახი ყველა თავისთვის საჭირო ნაწარმოებებს თვითონვე ამზადებდა, სამუდამოთ გაქრა. აქლა მეურნე ბევრ ისეთ ნაწარმოებს ხზარობს, რომელსაც თვითონ იგი აღარ ან ვეღარ ამზადებს. მის შესაძენათ საჭიროა ფული. მან ბაზარზე უნდა გაიტანოს, უნდა გაყიდოს სხვა-და-სხვა სამეურნეო ნაწარმოებთა, რომ აქ აღებული ფულით სხვა საჭირო ნივთთა შეძენა შეიძლოს. რამდენათაც, ამ გვართ, სამეურნეო წარმოება საბაზრო წარმოებებს სახეს იღებს, რამდენათაც სამეურნეო ნაწარმოები ბაზარზე გასატან და გასაყიდ ნაწარმოებთა ხდება, საქონლათ იქცევა, იმდენათვე დამოკიდებული ხდება მეურნე ბაზრისა და ფასების მდგომარეობისაგან, იმდენათვე მატულობს მისთვის ფულისა და კრედიტის საჭიროება. აქ მეურნე, წვრილი მწარმოებელია იგი თუ დიდი მემამულე, უკრედიტოთ საქმის წაყვანას და მოთხოვნილებებისთვის გაძლოლას ვეღარ მოახერხებს. აი, მოიწია გლახება ქირნახული; უნდა გაყიდოს, მაგრამ, ფასები დაცემულია. ამ დროს აღვება კარს ხარჯის მკრეფავი, ღვდღის გასტუმრება, ქალის გათხოვა, მიცვალებულის დამარხვა და სხვ. მევახშემ ეს კარგათ იცის და დროს შოულობს. ან ფულს აძლევს სესხათ უზომო სარგებლით და ან ქირნახულს ყიდულობს მისგან ჩალის ფასათ. ცხადია, ის საკრედიტო დაწესებულება, რომელიც ასეთ შემთხვევაში მეურნეს პატარა სარგებლით კრედიტს მიაწვდის, დიდ სამსახურს გაუწევს და დიდათ დაეხმარება. კიდევ უფრო დიდა კრედიტის საჭიროება მსხვილ მწარმოებლისთვის. მართალია, მას ჩარჩი და მევახშე ისე აღვილათ ვერ დაიმორჩილებს, როგორც წვრილ და ეკონომიურათ უძლურ მწარმოებელს, მაგრამ დიდ და ფართო წარმოებას დიდი კაპიტალიც უნდება და ამიტომ მას ხელის მონაცვლება და კრედიტით სარგებლობაც უფრო ხშირათ სჭირდება. ხშირათ ასეთ მწარმოებელსაც ნაწარმოებნი ფუქათ უწყეია, ფასების მდგომარეობისა თუ სხვა მიზეზებისა გამო ვერ გაუყიდა და იმავე დროს იძულებული ხდება დიდი სარგებლით ეძიოს ფული მევახშეებისაგან სხვა-და-სხვა ვალდებულებათა გასასწორებლათ. ეს დიდი სარგებელი; კარგ მეურნის ხელშია, მძიმე ტვირთათ აწვება წარმოებას და აფერხებს მის წინსვლელობას. ცხადია აქაც, რომ ის ბანკი, რომელიც ნაწარმოებთა დაგირაების საფუძვლით კრედიტს მისცემს მეურ-

ნეს, შესაძინე დახმარების გამწევი იქნება.

სამეურნეო კრედიტი რამდენიმე ნაირია. ჩვენ განვხილავთ ვიხსენიებთ აქ ამ კრედიტის მხოლოდ ამ ფორმის, რომელიც გამოხატველიც სამეურნეო ნაწარმოებთა დამგირავებელი კრედიტი არის. თფალის „სამეურნეო“ ბანკს, რომელზედაც ჩვენ აქ ბაასი გვაქვს, მხოლოდ ნაწარმოებთა დაგირაების საფუძვლით შეუძლია მეურნეებისთვის კრედიტის მიცემა. მაგრამ, როგორც ვნახეთ, მიუხედავად ამ უფლებისა და ცხოვრებაში უეჭველათ არსებულ მოთხოვნილებისა, ხსენებულ ბანკის მოქმედებას ამ მხრით ძალიან ცოტა ნაყოფი მოუტანია. მეურნეებისთვის კრედიტის მოპოვება ბანკს ვერ მოუხერხებია. რით და როგორ უნდა აიხსნას ეს გარემოება?

რომ ეს ბანკი წვრილ მეურნეებისთვის ყოველათ უმნიშვნელო და გამოუსადეგი იქნებოდა, ეს თავიდანვე თვით დამარსებელთაც უნდა ქონოდათ გათვალისწინებულ ი. წესდება ბანკისა მათი შედგენილია, და ვინც ამ წესდებას გაეცნობა, დარწმუნდება, რომ წვრილი მეურნე ამ ბანკში ვერც წვერათ ჩაწერას და ვერც მისგან კრედიტით სარგებლობას ვერ მოახერხებს.

ვისაც ამ ბანკში წვერათ შესვლა სურს, უნდა შეიტანოს საწევროთ მეთელი იმ ფულის, რომლითაც იგი პასუხის მგებლობას კისრულობს. კრედიტიც მხოლოდ იმდენი გაცხსნება მას, რამდენის პასუხის მგებლობასაც იგი იკისრებს წევრათ შესვლის დროს. საპასუხისმგებლო ფულის მინიმუმი 50 მანათია. მაშასადამე, 5 მანათის შეტანით შეიძლება წვერი შეიქნეთ.

ამ ნაირათ წესდება თითქოს უადვილებს წვრილ მეურნესაც ბანკში წვერათ ჩაწერას. მაგრამ ეს მხოლოდ ერთ შეხედვით. წვერათ გახლამისთვის საჭიროა ზოგიერთ ისეთ ფორმალურ მხარებებს შესრულება, რომელიც ჩვენებურ გლახისთვის მოუხერხებელია. თუ წვერათ ჩაწერილს მსურველს ვინმე სანდო პირის თავდება არა აქვს და ან ბანკის კომიტეტი ვერ იცნობს, მან საპასუხისმგებლო ფულში უნდა დაუკორაოს ბანკს ან სარგებლიანი ქალაღები და ან მამული. უკანასკნელ შემთხვევაში უნდა წარადგინოს სხვა-და-სხვა დოკუმენტები: ჰლანი, სია, დაზღვევის მოწმობა, საკუთრების დოკუმენტი და სხვ. თავის თავათ ცხადია, რომ ჩვენებურ გლახისთვის ყველა ეს ძნელათ მოსახერხებელია.

მაგრამ ვეცე რომ მოახერხოს და წვერათ ჩაწეროს, არც მაინც სესხის აღების დროს ისეთი პირობები, რომლების ასრულებას იგი ვერ შეძლებს ან ვერ მოახერხებს. ის სამეურნეო ნაწარმოებები, რომლებსაც ბანკი გაცემულ სესხის უზრუნველ საყოფელათ, გირათ იღებს (პური, ქერი, სიმინდი, ღვინო, მატყლი, აბრეშუმი, თუთუნი, ბრინჯი, ბამბა), დაზღვეული უნდა იყოს, რომ, ვინცობა ნაწარმოები წაზღვს ან დაიწვას, ბანკს გაცემული სესხი არ დაეკარგოს და ზარალი არ მოუვიდეს. არ ვიცი, რამდენი გლახი უნდა იყოს ჩვენში, რომ დაზღვევის მნიშვნელობა შეგნებული ქონდეს და თავისი ქირნახულის დაზღვევას ახერხებდეს.

გირათ მიღებისათანავე იმ საწყობზე ან შენობაზე, რომელშიაც ნაწარმოები ინახება, ბანკი ბეჭედს ასვამს. სესხის გამტანს არა აქვს უფლება, ბანკის გაუგებინებლათ და იმის ნებადაურთველათ, ეს ბეჭედი ახლოს. რა უნდა ქნას მეურნემ, როცა მუშტარი გამოუწდება? ბეღელს ბეჭედი აკრავს, ქვევრს პლომბი ადევს და ამეების ამჩრობი დაწესებულება-კი თვილისში აქის. მართალია, შეიძლება მეურნეს ნიმუშები ქონდეს შენახული, მაგრამ მუშტარი რით უნდა დარწმუნდეს, რომ ნიმუშის ღვინო ქვევრისას გავს და ნიმუშათ აღებული ხორბალი ბეღლისას? მეურნემ,—მეტი გზა არა აქვს,—ბანკს უნდა აცნობოს და თხოვოს ბეჭდის აღება.

ბანკიც გაკზავნის იმ ადგილას თავის კაცს, რომელიც ნაწარმოებს ბეჭედს ახლის, მუშტარს აჩვენებს და, თუ ამ უკანასკნელმა არ იყიდა, ისევ ახალ ბეჭედს მიაკრავს და თვითონში დაბრუნდება. და ასე, ყოველ მუშტარს მოსვლის დროს, მეურნემ ბანკს უნდა სწეროს და ბანკმაც კაცები გზავნოს. ამ მიწერ-მოწერაში და მგზავრობაში რომ ბევრი დრო, შრომა და ხარჯი უნდა დაიკარგოს, ამის გაგება ძნელი არაა. რაღა გასაკვირია, რომ ასეთ პირობებში მეურნემ, განსაკუთრებით წვრილმა გლეხობამ, ამდენ დავი-დარბას ისევ თავისი შიშვეული მევახში არჩიოს და ბანკს ზურგი შეაქციოს. არაა გასაკვირი და აქი ასეც მომხდარა. მეურნეთა წრეებში ბანკს ვერც წევრები მოუპოვებია და ვერც სესხი გაუცია.

რასაკვირველაა, ბანკს უნდა ქონდეს გარანტია და სიფრთხილე, რომ სესხი არ დაეკარგოს, გაცემული ისევ თავის დროზე შემოუვიდეს. ბანკი ვერ მიიღებს საპასუხისმგებლო ფულში, რა თქმა უნდა, ისეთ მამულს, რომელსაც იურიდიული სიმტკიცე არ ახლავს, დოკუმენტები აკლია; ვერ მიიღებს ისეთ სახლს, რომელიც დაზღვეული არაა. დაიწვის დაუზღვეველი სახლი, — დაიწვის საპასუხისმგებლო ფულიც, მაშინ როდესაც, როცა სახლი დაზღვეული იყო, მისი ღირებულება დამზღვევ საზოგადოებამ უნდა გაიღოს. ამიტომ ვერც წესდება და ვერც ბანკის გამგეებს მთლათ ვერ დაედება ბრალათ, რომ ბანკს წვრილ გლეხობაში წევრები ვერ მოუპოვებია და კრედიტი ვერ მიუწოდებია. აქ უმთავრესი მიზეზი არის ჩვენი კულტურული განუვითარებლობა და სიფხიზლის ნაკლებობა.

მაგრამ ესევე არ ითქმის სხვილ მწარმოებლების შესახებაც. ამათ წრეებში ბანკს უქვევლათ მეტი წევრებიც უნდა მოეპოვა და მეტი კრედიტიც გაეკა. რამოდენიმეთ შეძლებულ მეურნეს არც წევრათ ჩაწერისთვის საჭირო ფულის გადახდა გაუჭირდება და არც ფორმალურ მხარეების შესრულება. და თუ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც ბანკში წევრათ არ შედის და ბანკის კრედიტს არ ეძებს, ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, უმთავრესათ სამეურნეო ნაწარმოებთა დაგირავების მოუწყობლობაში იმალება. ის წესი დაგირავებისა, რომლითაც ბანკი ახლა ხელ-მძღვანელობს, ძალიან შემავიწროვებელი და ხელის შემკვრელია სესხის გამტანისათვის. აბა, მართლა რომელ მეურნეს შეუძლია, ყოველ მუშტარს გამოჩენაზე ბანკს სწეროს: კაცი გამოგზავნე, მუშტარს ნაწარმოები უნდა ვაჩვენოვო? საჭიროა, ნაწარმოებთა გირაოთ აღების წესი ისე მოწყოს, რომ არც ბანკი ჩიბოდდეს უგარანტიოთ და სესხის გამტანიც არ იყოს შევიწროვებული,

ჩვენში რომ საზოგადო საწყობები და ელევატორები არსებობდეს, სამეურნეო ნაწარმოებთა დაგირავების საქმე ადვილათ მოეწყობოდა. ასეთ საწყობთა საშუალებით მეურნეები ადვილათ მიიღებდენ ბანკებიდან კრედიტს, რადგან სესხის მიხედვით საკმარისია საწყობისაგან მიღებულ კვიტანციის წარდგენა. მაგრამ ეს ჯერ ჩვენში არ არის. ამიტომ საჭიროა, „სამეურნეო“ ბანკმა აღძროს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რომ რკინის გზის სადგურებზე სახაზინო ხარჯით აგებულ იქნეს საწყობები და ელევატორები. ვინ იცის, ასეთ შუამდგომლობას იქნებ მართლა რამე სასურველი შედეგი მოყვას. თავის წხრით მთავრობა სასარგებლოთ თვლის საწყობ-ელევატორებს, და მათი აგება რუსეთში 1884 წლიდან კიდევ დაიწყო. ეს საწყობები მხოლოდ პურის დასაწყობათ და შესანახათ არის რკინის გზის სადგურებზე აშენებული. 1895 წელს რუსეთის რკინის გზებზე 332 პურის საწყობი და ელევატორი იყო აგებული. 1888 წელს მთავრობამ ნება დართო, რომ რკინის გზების კასიდან საწყობებში დალაგებულ პურში პატრონებს სესხიც მიეცეთ. მთავრობას აზრათ ქ და, რომ რკინის გზებზე ელევ-

ვატორების რიცხვი ძალიან გაემრავლებია. შიდა რუსეთში დღევანდელსა ძალიან ცდილობს მათ გავრცელებას. ამიტომ შეიძლება, თუ შუამდგომლობა დასაბუთებული იქნება, რომელიმე დაწესებულებას, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე საწყობებიც იქნეს ელევატორები.

თავის მხრით ბანკს შეუძლია თვითონაც შეუდგეს სადგომების აგებას. უბრალოთ მოწყობილ პატარ-პატარა საწყობების აგება არც დიდ ხარჯებს თხოულობს და არც საძნელოა. გერმანიაში ხშირათ ხდება, რომ ერთი ან ორი პატარა სასოფლო ბანკი აშენებს საწყობს და თავისთვის ხელსაყრელათ აწარმოებს მას. საკუთარ საწყობებში „სამეურნეო“ ბანკი მიიღებს გირაოთ სამეურნეო ნაწარმოებებს და დაკარგვის შიშიც არ ექნება, როგორც ეს უთუოთ დღეს აქვს. სესხის ამღებისთვისაც ეს უფრო მოხერხებული იქნება. იქ მას ყოველთვის შეეძლება თავის ნაწარმოების მუშტარისთვის ჩვენება და იქ შევიწროვებული არ იქნება, როგორც დღეს, როცა წამ და უწამ ბანკს უნდა მიმართოს და ბანკის წარმომადგენელი მოითხოვოს.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენში საწყობები და ელევატორები გავრცელება თუ არა, ახლანდელი წესი სამეურნეო ნაწარმოებთა გირაოთ აღებისა ბანკმა უქვევლათ უნდა შეცვალოს და შეცვალოს ისე, რომ თვითონაც ხელში გარანტია ქონდეს და სესხის გამტანსაც საქმეს უაღვილებდეს. ჩვენი აზრით, სრულიათ საჭირო არ არის, რომ თითოეულ შემთხვევაში ბანკი გზავნიდეს მეურნესთან თავის კაცს ნაწარმოებებზე ბეჭედის ასაღებათ და დასაკვრელათ. აქ ცენტრალიზაცია არ ვარგა; უფრო საჭირო, სასარგებლო და მოსახერხებელია დეცენტრალიზაცია. ბანკს შეუძლია ის ადგილები, საცა მას გირაოს აღება და სესხის გაცემა უხედება, რაიონებათ დაყოს და თითოეულ რაიონში თავისი წარმომადგენლობა და გირაოებზე თვალ-ყურის ქება ერთ რომელიმე იქაურ წევრს მიანდოს, რომელიც უფრო სანდო და ქონებრივ პასუხისმგებლობითაც საიმედო იქნება. მაშინ საჭირო აღარ დარჩება კაცის ხშირი „კომანდაროვკა“ თვითონიდან. ხარჯიც ნაკლები იქნება და ფუქათ დროს კარგავს. ის წევრი, რომელსაც ბანკი გირაოებს ზედამხედობას მიანდოს, ვითარცა ადგილობრივი მკვლავები, უფრო ადვილათ შეასრულებს თვის მოვალეობას, ვინემ ერთი საათით მასული მოხელე ბანკისა. ამით ბანკიც უფრო უზრუნველყოვალ იქნება გირაოს დაკარგვის მხრით და სესხის ამღებიც განთავისუფლებული ტყვილა-უბრალოთ წვალეპისაგან. ეს გარემოება თავის მხრით ხელს შეუწყობს მეურნეთა წრეებში ბანკის წევრთა რიცხვს გამრავლებას. ბანკი მკტ თანაგრძნობას, სახელს და წევრებს მოიპოვებს.

ბანკის გამგეობის მოვალეობას უნდა შეადგენდეს სხვა მხრივაც ზრუნვა მეურნე წევრების რიცხვის გადიდებაზე. საჭიროა წესდება ქართულ ენაზე მეურნეებში გავრცელდეს. ამას შეიძლება თან ახლდეს მოკლე და გასაგებათ შედგენილი წიგნაკი სამეურნეო კრედიტის მნიშვნელობის შესახებ. ბანკს უნდა ყავდეს აგენტები, რომლებიც მსურველთ უნდა უხსნიდენ საჭირო კითხვებს და უაღვილებდენ წევრობისთვის საჭირო ქალაქების შედგენას. თუ ენერგიულათ და ბეჯითათ იქნება საქმე წაყვანილო, შეიძლება ბანკმა წვრილ გლეხობაშიც მოიპოვოს წევრები და, მაშასადამე, მევახშეების მსხვერპლთა რიცხვი შეამციროს.

ერთი სიტყვით საჭიროა, რომ ბანკმა მეტი ყურადღება მიექციოს მეურნეებს და მათთვის კრედიტის გაძლიერების საქმეს. როგორც ვიცით, ამ მოკლე ხანში უნდა მოხდეს ბანკის წევრთა საზოგადო კრება. ვიმედოვნოთ, რომ ამ კრებაზე ჩვენ მიერ აღძრულ საკითხის შესახებ მსჯელობას იქონიებენ და საქმეს ასე თუ ისე საუშუალოდ მოაგვარებენ. თორემ

სირცხვილია, სხვა რომ არა იყოს რა, ბანკს სახელათ „სა-  
მეურნეო“ ერქვას და იმავე დროს მეურნეებთან თითქმის არა-  
ვითარი დამოკიდებულება არ ქონდეს.

ვ. ბ.

### საუბარი სსვა-და-სსვა საგნებზე.

#### III.

#### კლავიატოგა ჩვენ მწერლობაში.

დადგა დრო სინანულისა და ცოდვათა მონანიებისა. კა-  
რგი იქნებოდა ხოლმე, რომ სხვა ცოდვებთან ერთათ ლიტე-  
რატურული ცოდვებიც მოგვენანებია! და მერე განა ცოტა იყო  
ასეთი ცოდვები, თუ გინდ მარტო წარსული წელიწადი რომ  
ავიღოთ! განა ჩვენ პუბლიცისტებს არ ესაჭიროებათ «სულის  
სიწმინდე, სიმდაბლე და მოთმინება»? განა იმათ ნაკლებათ უნ-  
და ვუსურვოთ, რომ არ „ვიდოდენ ვხათა ზედა უმართლოთა  
და უგუნურთა“? ყოველივე ეს საჭიროა და მერე რა რიგათ?  
და აი ჩვენც ამ სინანულის ჟამს ვგსურს გამოვამყლავნოთ გა-  
სული წლის ერთი ლიტერატურული ცოდვა, რომელსაც ამ-  
დენ ხანს ვფარავდით იმ იმედით, რომ შეიძლება იგი შემდე-  
გში აღარ განვივარდესო. მაგრამ ჩვენი იმედი არ გამართლდა,  
და აი დღეს ჩვენ იძულებული ვხდებით, ეს ცოდვა ქვეყანას  
ვაუწყოთ. მაგრამ სანამ საგანზე გადავადოდეო, საჭიროთ მი-  
გვაჩნია მკითხველთან ბოლაში მოვიხადოთ, რადგანაც დღეს  
მეტათ ახირებული და იმავე დროს თითქმის უმნიშვნელო სა-  
განზე ვვიხდებთ მასთან საუბარს. რას იზამთ, ყველაფერი გა-  
რემობის ბრალია. მართალი რომ ვთქვათ, ამ ცოდვის გახსენ-  
ება საკუთრივ ბ-ნ Plebs-ის ბრალია და სხვისი არავის. მკი-  
თხველი აღბათ მიხედებოდა, თუ რაშია აქ საქმე.

ამ რამდენიმე ხნის წინეთ ბ.ბ. Plebs-სა და ჯორჯაძეს  
შორის გაიმართა კამათი ერთი საინტერესო საგნის შესახებ, სა-  
ხელდობ: ორგანიზმია თუ არა საზოგადოება, და რამდენათ  
მართალია სპენსერის ორგანიზული თეორია საზოგადოებაზე.  
ჩვენ აქ არ შევეგებოთ ამ კამათის არსებით მხარეს, ამას ჩვენ  
ცალკე წერალს ვუძღვნით, მით უმეტეს, რომ არც ერთ მოკა-  
მათე მხარეს საგანი ჯეროვანათ არ გამოურკვევია, აქ ჩვენ უნ-  
და აღვნიშნოთ აი რა. ბ-ნმა ჯორჯაძემ თავის წერილის 1)  
სხოლიოებში, რომელშიაც იგი ცდილობდა ბ-ნ პლეზის მო-  
საზრებათა დარღვევას, დასახელა მთელი წყება „მრავალ-ტო-  
მიან და დიდ-ტანიან“ თხზულებებისა, როგორც, მაგ., კონ-  
ტის, სპენსერის, ბლუნჩლის, ფულიესი, უორდის, მიხაილოვ-  
სკის, კარევის და სხვების; ასე რომ მკითხველს უეჭველათ ეგო-  
ნებოდა, რომ ავტორს აღბათ ყველა ეს მწერლები დაწერი-  
ლებით შეუსწავლია და ამიტომაც აქ თამამათ იმოწმებს იმათ  
ნაწერებსო 2). დასასრულ ბ. ჯორჯაძე ასეთ მუქარას უთვლი-  
და ბ. პლეზს: „სანამ პასუხს მოგვეცემდეთ ყველა ამაზე, გირ-  
ჩვეთ გადაიკითხოთ კონტის და სპენსერის თხზულებებიო“  
(„ცნ. ფ.“ № 1708). ამ უკანასკნელ რჩევას ძლიერ დაუშინე-  
ბია ბ. პლეზს! მას უფიქრია: თუ ჩავუჯექი და კონტის და  
სპენსერის თხზულებათა კითხვას მივყავი ხელი, ბ. ჯორჯაძეს  
ხომ პასუხს ვეღარ გავცემ, ვინაიდან დასახელებულ მეცნე-  
რთა ნაწერების წაკითხვას ასე ადვილათ ვერ მოვრჩებიო; არა  
და ჩაჭერილი ვყვეარო. მაგრამ, როგორც იყო, ბ. პლეზს ამ  
გაჭირვებულ მდგომარეობიდან თავი დაუხსნევია, გასაგალი უპო-  
ვნია 3). მას ექვი დაბადებია ბ. ჯორჯაძის გასაოცარ ერთდი-

ციაში და შემდეგ ამისა აუღია ხელში ბროკჰაუსის და ენციკ-  
ლის კარგათ ცნობილი ლექსიკონი, წაუკითხავს იქ მარტო ხუ-  
თი წერილი ამ სათაურით: *Ог. Контъ, Органич. теорія об-  
щества. Органич. теорія государства, Спенсоръ-и.* წაუკითხავს, და რა აღმოჩენილა: ბ. ჯორჯაძის  
«მეცნიერული მორძიკი» თურმე ამ ლექსიკონიდან „ზოგან სი-  
ტყვა-სიტყვით ნათარგმნი და ზოგან კიდევ გადმოკეთებული“  
ყოფილა 4). ჰოი სულმდაბლობავ, ჰოი სულმოკლეობავ ადა-  
მიანისაო! ბ. პლეზსი გაოცებული და სახტათ დარჩენილა, რა-  
დგანაც ეს მისთვის ახალი აღმოჩენა იყო, მასთან ერთათ გა-  
ოცდებოდა, უეჭველია, ყველა მკითხველი. რა თქმა უნდა, ამ  
ამბავმა ჩვენც გაგვაკვირვა, თუმც ჩვენთვის აქ ახალი არა იყო  
რა. ჩვენ გავაოცა სულ სხვა გარემოებაში.

მკითხველს, უეჭველია ახსოვს ჩვენსა და ბ. არ. ჯორჯა-  
ძეს შორის ატეხილი პოლემიკა კაპიტალის კონცენტრაციის  
შესახებ. ახსოვს აგრეთვე ისიც, თუ ბ. არ. ჯორჯაძემ როგორ  
მოიტება ფეხი ამ პოლემიკის დროს. მაგრამ ეს როდი გვაინ-  
ტერესებს ჩვენ აქ. საქმე ის არის, რომ ამ პოლემიკის დრო-  
საც ბ. ჯორჯაძემ ჩაიდ-ნა ის, რაშიაც მას ამ ჟამათ ბ. პლე-  
ზსი სამართლიან ბრალსა დებს. განსხვავება გამოწვეულია მხო-  
ლოთ დროისა და გარემოების მიხედვით. თუ ბ. პლეზსთან  
პოლემიკაში ბ. ჯორჯაძეს სიტყვა-სიტყვით ამოუწერია ბროკ-  
ჰაუსის ლექსიკონიდან და სხოლიოებში კი კონტის. სპენსე-  
რის, ბლუნჩლის და სხვათა დიდ-ტანიანი წიგნები უმოწმებია,  
სამაგიეროთ ჩვენთან პოლემიკის დროს მას სიტყვა-სიტყვითვე  
ამოუწერია ედუარდ ბერნშტეინის წიგნაკიდან ამ სათაურით:  
„Исторический материализм“, რომელიც, მის საბედნიე-  
როთ გასულ წელს გადმოუთარგმნიათ რუსულ ენაზე, და სხო-  
ლიებში კი იმის ნაცვლათ, რომ ბერნშტეინის წიგნაკის გვერ-  
დები ეჭვენება, გამოსულა და იმ წყაროებზე გვეითივებს, რო-  
მლებითაც ბერნშტეინს უსარკებლია თავის წიგნაკის შედგე-  
ნის დროს და რომლებიც მას (ბერნშტეინს) იმავე წიგნაკში  
აქვს დასახელებული. ასე წარმოიდგინეთ, ბ. ჯორჯაძის კა-  
დნიერება იქამდისაც მივიდა, რომე ჩვენ გვიჩნია, სანამ მას  
პასუხს გავცემდით, ბროდრიკის თხზულება „English Land  
and English Landlords“ (ინგლისის მამული და ინგლისის  
მიწისმფლობელნი) გადაგვეკითხა, ე. ი. წაგვეკითხა ის თხზუ-  
ლება, რომლის არსებობა მას მხოლოთ ბერნშტეინის დასახე-  
ლებული წიგნაკიდან გავეო, მაგრამ მისი კლო კი ისეთი  
იყო, რომ გულუბრყვილო მკითხველს ეგონებოდა, ბ. ჯორჯაძეს  
ეს თხზულება ზედმიწევნით შეუსწავლიაო 5), და იმას ვინ  
წარმოიდგენდა, რომ ბროდრიკის დასახელებული თხზულება,  
რომლიდანაც მოყვანილი ცნობებით ბ. ჯორჯაძის წერილები  
აქრელებული იყო, მას თურმე თვალითაც არ ენახა და ჩვენი  
თავმოწმონე ავტორი თურმე სხვის ანგარიშზე ქეიფობდა. ყო-  
ველივე ეს დაწერილებით ჩვენ გავიგეთ იმ დროს, როცა პო-  
ლემიკა დასრულებული იყო. პოლემიკის დროს კი ჩვენ მეტათ  
გატაცებული ვიყავით აზრის და შეხედულების კრიტიკით და  
ვერ წარმოვადგენდით, თუ ჩვენი მოწინააღმდეგე ისე სულ-  
მდაბალი იქნებოდა, რომ ლიტერატურულ ქურდობას ჩაი-  
დენდა! და მერე ის ადამიანი, რომელიც მუდამ თავაზიანო-  
ბას და ზნეობას გვიქადაგებდა! წარმოიდგინეთ, იმ დროს იმ-  
დენათ დარწმუნებული ვიყავით ბ. ჯორჯაძის გულახდილობა-  
სა და გულწრფელობაში, რომ იყო ერთი წუთი, როცა ჩვენ

1) იხ. „ცნ. ფ.“ № 1707 და 1708. მეცნიერული მორძიკი.  
2) აქ იყო ერთი საეჭვო გარემოება. როცა ვისიმე თხზულებას იმო-  
წმებ, მიღებულია თვით ამ თხზულების გვერდიც აღნიშნა, უამისოთ მოწ-  
მობა კარგავს მნიშვნელობას. ბ. ჯორჯაძე კი არასოდეს არ იტყვა ამნაი-  
რათ. ქვევით ჩვენ გავიგებთ, თუ რათ მოსდის მას ეს.  
3) თუმც ბ. პლეზს დავეჯერეთ, მისთვის ბ. ახალმოსულს გულთმი-

სნობას უშველია. მაგრამ ჩვენი აზრით, ეს უბრალო ლიტერატურული  
ოინბაზობაა, გარეგანი მოკავშილეობა. ბ. ახალმოსულს ეგრევე საამისო უარა  
ჩაუდენია რა, რომ ასეთი ცულთმისნობის სახელი დამსახურებინოს  
4) იხ. „იური“ № 40, ფელეტონი, სათაურით: ბიბლიოგრაფია.  
5) ე. ი. სწორეთ ისე, როგორც ბ. პლეზს უჩნია: სანამ შენ პასუხს  
მიმცემდე, გირჩევ ეგრე კონტის და სპენსერის თხზულებანი წაკითხე!

მოვიწოდებთ ბ. ჯორჯადისთვის მიგვემართა და გვეთხოვა ბროდრიკის წიგნი<sup>6)</sup>, სრულიათ დარწმუნებული, რომ სხვა გზით ჩვენ ამ წიგნს საქართველოში ვერ ვიშოვნინდით. მაგრამ სწორე მოგახსენოთ, ჩვენ მაშინვე დავანებეთ თავი ამ ჩვენ გულუბრყვილო განზრახვას. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბ. ჯორჯადის მეცნიერულ მომზადებაში, რასაც ერუდიციას უწოდებენ, ჩვენ ჩქარა დავგვებდა ვევი. ეს ვევი საყვებით გაამართლა მისმა ამაყობით გატენილმა მსჯელობამ ინგლისის ოფიციალურ სტატისტიკის შესახებ. ჩვენი ვევი ამ მხრით იქამდის მივიდა, რომ ჩვენ გადაჭრით ვუთხარით ბ. ჯორჯადეს: თქვენ ან სრულებით არ წავიკითხავთ თქვენ მიერ დასახელებული წყარო<sup>7)</sup>, ან თუ წავიკითხავთ, ვერ გავიგიათ (იხ. „კვალი“ 1901 წ. № 39). ეს მხილება ბ. ჯორჯადემ უყურადღებოთ დატოვა. პირველათ ჩვენთვის გაუგებარი იყო ასეთი უყურადღებობა. მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ გავიგეთ, თუ რაში იყო საქმე, შეკითხვით, თუ რა ედვა საფუძვლათ ბ. ჯორჯადის ერუდიციას, და სწორე მოგახსენოთ, ძლიერ გვეწყინა ამის გაგება. მეტათ და მეტათ სამწუხაროა, როცა ასეთი ვაგლახი საქმის, როგორაც პლაგიატობა, ანუ ლიტერატურული ქურდობაა, ჩაღწევა კაცს თავზე დაატყდება. ჯერ ქურდობა რა არის, და მერე ლიტერატურული! ბ. ჯორჯადეც სწორეთ ამ ქურდობაში მყავდა ჩაჭერილი, არც მეტი, არც ნაკლები. საქმე იყო, რომ ეს შეტყობისთანავე შემხილებია საჯაროთ, მისი საქციელი დამეგმო იქ, სადაც მას თავის ყალბი საქონელი გამოაქვს გასასაღებლათ. მაგრამ ჩვენ პირველ ხნობით ბ. პლემსთან შედარებით ბევრათ უფრო ღმობიერათ მოვექცეთ ბ. ჯორჯადეს. ბ. პლემსმა, გაიგო თუ არა ბ. ჯორჯადის არა სასიქადულო მოქმედება, არც აცივა, არც აცხელა, მაშინვე საჯაროთ გამოაცხადა. შეიძლება ბ. პლემსის საქციელი ამ შემთხვევაში უფრო სამართლიანია, ვინაიდან ასეთი აზრის დამალვა საზოგადოთ კარგი არა დროს არ არის. მაგრამ ბ. ჯორჯადის შესახებ ჩვენ უფრო მეტი ღმობიერება გამოვიჩინეთ. ჩვენ შევიკავეთ თავი. ვიფიქრეთ: ბ. ჯორჯადე მწერლობაში ახალი გამოგონალია და ჯერ სრულიათ გამოუცდელი, ამიტომ პოლემიკური ციებ-ცხელების დროს ადვილათ შესაძლებელი იყო რომ იგი შეცდომაში შესულიყო და ლიტერატურული ქურდობა ჩაედინა; მაგრამ მოვა დრო, და ჩვენი ავტორი გამოცდილებას შეიძენს და ამ მრუდე და ყალბ გზას ამორღებოთ. ახლა კი მისი მხილება, სხვა რომ არა იყოს რა, ჩვენი მხრით ნამეტანი გულქვაობა იქნება. თუ მაინცა და მაინც ამ ზნეს არ მოიშლის, სად წამივა. ასე ვფიქრობდით ჩვენ. და აი სწორეთ ამ დროს წავიკითხეთ ბ. პლემსის ზევით დასახელებული წერილი, რომლიდანაც ვრწმუნდებით, რომ ბ. ჯორჯადე შეურყვევლათ მიდის ერთხელ მის მიერ არჩეული გზით. ჩვენ ახლა კარგათ გვესმის, თუ როგორ ძნელია იმის მოშლა, რაც ერთხელ კაცს წაუდებია. თუ დაიჯერებთ, ჩვენ არც ბ. პლემსის წერილის შემდეგ გვიწოდებდა ბ. ჯორჯადისთვის ძველი ცოდვა გავგვხსენებია, და ამას ორი გასამართლებელი საბუთი ქონდა.

ერთი ისა, რომ ამ ჩემი მხილებით ყველაზე უწინ ბ. პლემსი გაიხარებდა და, უნდა გამოეტყველეთ, მე არც იმდენი სულგრძელი აღამიანი ვარ, რომ ბტერის გახარება მსურდეს. მეორეც ისა, რომ როცა ჩვენ წინ ორი მოქიდავე იბრძვის, და ერთი იმათგანი მეორეს წააქცევს და უწყალოთ და დაუზოგველათ ცემას დაუწყებს, მესამეს მოვალეობაა, დამარცხებულ მხარეს უშველოს, თუნდაც იტოდეს, რომ ეს უკანასკნელი

ლი დამნაშავეა პირველის წინაშე; ყოველ შემთხვევაში გამარჯვებულ მხარეს მაინც არ დაეხმაროს და თითონაც არ დაუწყოს ცემა ისეთაც დამარცხებულ მოქიდავეს, რომელიც დასაზრებათ სძლია ორმა გარემოებამ. ერთი გარემოება ისა, რომ, როგორც ამბობს ერთი ლითონური ანდაზა: თუმცა სავარელია პლატონი, მაგრამ ქვემარტება კიდევ უფრო სავარელია (amicus Plato, sed magis amica veritas!); თუმცა გვებრალებოდა ბ. პლემსის მათრახების ქვეშ გაწოლილი ბ. არ. ჯორჯადე, მაგრამ ქვემარტება მაინც თხოულობდა გამოძევას. მაგრამ ჩვენ ხმის ამოდება გვაიძულა თვით გამათრახებულს და მიწაზე გაწოლილის უკმეხობამ და სრულეებით უადგილო შექარამ და ამაყობამ. თქვენ იქნება გვინათ, რომ, როცა ბ. ჯორჯადე ლიტერატურულ ქურდობაში დაიჭირეს, მას თავის საქციელის შერცხვენოდეს—სრულებითაც არა. მან საჯაროთ აღიარა, რომ მართალია, მე კი ამოვწერე სიტყვა-სიტყვით ბროკჰაუსის ლექსიკონიდან და სხოლიოებში კონტი, სპენსერი და სხვები ვუჩვენეო, მაგრამ მე (ე. ი. არჩ. ჯორჯადეს) ამის უფლება მქონდაო. შემდეგ მოყვა პლაგიატობის გამართლებას და ამასთანავე შეუდგა ლიტერატურული ქურდობის «თეორიის» შექმნას. ეს თეორია იმდენათ საინტერესოა, რომ ჩვენ ნებას ვაძლევთ თავის თავს იგი აქვე მოვიყვანოთ თვით ავტორისვე სიტყვებით, მით უმეტეს რომ თავისებურ ორიგინალობას ეს «თეორია» არ უნდა იყოს მოკლებული. ჩვენი აზრით აქ ბ. ჯორჯადე თვით ცნობილი ევნატელოლის ორდენის გამოჩენილ მეცნიერთაც არ ჩამოუვარდება. ან წავიკითხეთ და დასტობით:

...„მთელი ჩვენი ცოდნა შეიგნობრული ხასიათისაა! ბროკჰაუსის ლექსიკონისთანა წიგნებიც (მაშ ბროკჰაუსის ლექსიკონებსაც არ ჯერდება ავტორი! ეს დავისხომოთ, შემდეგ გავაგადგება. მ.) იმ აზრით არის შედგენილი, რომ იქ შეგროვილი ცნობებით (ნუ დაივიწყებთ, ბ. ჯორჯადე, რომ თქვენ სიტყვა-სიტყვით სარგებლობას გაბრალებდენ!) საჯაროთ სარგებლობა შეიძლებოდეს. ამ ლექსიკონში მოთავსებულია სხვადასხვა სამეცნიერო კითხვების შესახებ ცალკე ბიბლიოგრაფიული ხასიათის წერილები. როცა თქვენ გაინტერესებთ რომელიმე ამგვარი კითხვით, თქვენ ამ წერილებს გადაიკითხავთ, გაიხსენებთ, რაც წავიკითხავთ აღძრულ კითხვის შესახებ (აქ კი ძალაუნებურათ დავეკთხოთ ბ. ჯორჯადეს: რათ შეგვაშინა მან მე და ბ. პლემსი? რათ არ გვიჩიო პატარა „ბიბლიოგრაფიული ხასიათის წერილების“ წაკითხვა ბროკჰაუსის ლექსიკონში და კონტის, სპენსერის და ბროდრიკის წიგნებთან გავგვზავნა? რა კარგი რჩევა ცოდნა! გვაკვირვებს, თითონ რათ არ მოიქცა ასე!). ამგვარათ შრომას იადვილებთ (ოღონდაც!), ხელმეორეთ არ გვირდებათ ვრცელი გამოკვლევის გადაკითხვა (თავის პატივი ძლიერ ცოდნა ბ. ჯორჯადეს!). ხოლო როდესაც თქვენ ხელმძღვანელობთ ამგვარი წყაროთი, თქვენის წერილების სხოლიოში იმ წიგნების აღწერის უფლება გაქვთ, რომელნიც ნამდვილათ წავიკითხავთ (ეს რომ ასეც იყოს, რომ მართლა იყოს ასეთი ახირებული უფლება, იმ შემთხვევაშიაც მტყუანია ბ. ჯორჯადე, რადგანაც მან სხოლიოში დასახელა ისეთი წიგნები, რომლებიც მას თვალითაც არ უნახავს. ამას ჩვენ ქვევით დავინახავთ). თვით წერილის ტექსტში კი თქვენ სრულიათ თავისუფლათ შეგიძლიათ ისარგებლოთ ნასესხი მასალით, რადგან ეს მასალა, ეს ლექსიკონიდან ამკითხული წერილი თქვენ მიერ წაკითხული და თქვენ წერილის სხოლიოში მოყვანილ ავტორიტეტებსა და მკარებულად“ (ხაზს ყოველგან ჩვენ ვუსვამთ. „ცნ. ფურც.“, № 1731).

ჩვენ გვეძნებოდა ნამდვილი სახელი ვუწოდოთ, როგორც ამ სიტყვებში გამოთქმულ აზრს, ისე მის გამომთქმელს. ეს მკითხველისათვის მიგვიჩნდვია. ხოლო ჩვენ კი ამ სიტყვების წა

6) უნდა გამოვტყულოთ, რომ ინგლისურა ჩვენ ბ. ჯორჯადესათ არ გვესმის, მაგრამ ლექსიკონის საშუალებით მას ჩვენ თავს გავართმევდით. რასაკვირველია, ეს სრულებით არ ემგავნებოდა ბ. ჯორჯადის მიერ ბროკჰაუსის ლექსიკონით „სარგებლობას“!  
7) ლაპარაკია „The Small industries of Britain“-ზე.

სირცხვილია, სხვა რომ არა იყოს რა, ბანკს სახელით „სამეურნეო“ ერქვას და იმავე დროს მეურნეებთან თითქმის არავითარი დამოკიდებულება არ ქონდეს.

ვ. ბ.

### საუბარი სსვა-და-სსვა საგნებზე.

#### III.

#### კლასიკობა ჩვენ მხარეობაში.

დადგა დრო სინანულისა და ცოდვითა მონანიებისა. კარგი იქნებოდა ხოლმე, რომ სხვა ცოდვებთან ერთათ ლიტერატურული ცოდვებიც მოგვენანებია! და მერე განა ცოტა იყო ასეთი ცოდვები, თუ გინდ მარტო წარსული წელიწადი რომ ავიღოთ! განა ჩვენ პუბლიცისტებს არ ესაქიროებათ «სულის სიწმინდე, სიმდაბლე და მოთპინება»? განა იმათ ნაკლებათ უნდა ვუსურვოთ, რომ არ „ვიდოდენ გზათა ზედა უმართლოთა და უგუნურთა“? ყოველივე ეს საქაროა და მერე რა რიგათ? და აი ჩვენც ამ სინანულის უამს გესურს გამოვამეღავნოთ გასული წლის ერთი ლიტერატურული ცოდვა, რომელსაც ამდენ ხანს ვფარავდით იმ იმედით, რომ შეიძლება იგი შემდეგში აღარ განვიორდესო. მაგრამ ჩვენი იმედი არ გამართლდა, და აი დღეს ჩვენ იძულებული ვხდებით, ეს ცოდვა ქვეყანას ვაუწყოთ. მაგრამ სანამ საგანზე გადავიდოდეთ, საქიროთ მიგვაჩნია მკითხველთან ბოდში მოვიხადოთ, რადგანაც დღეს მეტათ ახირებული და იმავე დროს თითქმის უმნიშვნელო საგანზე გვიხდება მასთან საუბარი. რას იზავთ, ყველაფერი გარემოების ბრალია. მართალი რომ ვთქვათ, ამ ცოდვის გახსენება საკუთრივ ბ-ნ Plebs-ის ბრალია და სხვისი არავის. მკითხველი აღბათ მიხედებოდა, თუ რაშია აქ საქმე.

ამ რამდენიმე ხნის წინეთ ბ.ბ. Plebs-სა და ჯორჯაძეს შორის გაიმართა კამათი ერთი საინტერესო საგნის შესახებ, სახელდობ: ორგანიზმია თუ არა საზოგადოება, და რამდენათ მართალია სპენსერის ორგანიზული თეორია საზოგადოებაზე. ჩვენ აქ არ შევეხებოთ ამ კამათის არსებით მხარეს, ამას ჩვენ ცალკე წერალს ვუძღვნით, მით უმეტეს, რომ არც ერთ მოკამათე მხარეს საგანი ჯეროვანათ არ გამოურკვევია. აქ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ აი რა. ბ-ნმა ჯორჯაძემ თავის წერილის<sup>1)</sup> სხოლიოებში, რომელშიაც იგი ცდილობდა ბ-ნ პლესის მოსაზრებათა დარღვევას, დაასახელა მთელი წყება „მრავალ-ტომიან და დიდ-ტანიან“ თხზულებებისა, როგორც, მაგ., კონტის, სპენსერის, ბლუნჩლის, ფულიესი, უორდის, მიხაილოვსკის, კარევის და სხვების; ასე რომ მკითხველს უეჭველათ ეგონებოდა, რომ ავტორს აღბათ ყველა ეს მწერლები დაწვრილებით შეუსწავლია და ამიტომაც აქ თამამათ იმოწმებს იმათ ნაწერებსო<sup>2)</sup>. დასასრულ ბ. ჯორჯაძე ასეთ მუქარას უთვლიდა ბ. პლესს: „სანამ პასუხს მოგვცემდეთ ყველა ამაზე, გირჩევთ გადაიკოხოთ კონტის და სპენსერის თხზულებებიო“ („ცნ. ფ.“ № 1708). ამ უკანასკნელ რჩევას ძლიერ დაუწინებია ბ. პლესი! მას უთქვია: თუ ჩავუჯექი და კონტის და სპენსერის თხზულებათა კითხვას მივყავი ხელი, ბ. ჯორჯაძეს ხომ პასუხს ვეღარ გავცემ, ვინაიღვან დასახელებულ მეცნე. რთა ნაწერების წაკითხვას ასე ადვილათ ვერ მოვრჩებო; არა და ჩაჭერილი ვყვეარო. მაგრამ, როგორც იყო, ბ. პლესს ამ გაჭირვებულ მდგომარეობიდან თავი დაუხსნევია, გასაფალი უპოვნია<sup>3)</sup>. მას ექვი დაბადებია ბ. ჯორჯაძის გასაოცარ ერუდი-

ციამი და შემდეგ ამისა აუღია ხელში ბროკჰაუსის და ეფრონის კარგათ ცნობილი ლექსიკონი, წაუკ-თხავს<sup>4)</sup> მკითხველთი წერილი ამ სათაურით: *Op. Контъ, Organъ, теоріи общества, Органич. теорія государства, Соціологія და Гер. Спенсоръ-ი.* წაუკითხავს, და რა აღმოჩენილა: ბ. ჯორჯაძის «მეცნიერული მორბიკი» თურმე ამ ლექსიკონიდან „ზოგან სიტყვა-სიტყვით ნათარგმნი და ზოგან კიდევ გადმოკეთებული“ ყოფილა<sup>5)</sup>. ჰოი სულმდაბლობავ, ჰოი სულმოკლეობავ ადამიანისაო! ბ. პლესსი გაოცებული და სახტათ დარჩენილა, რადგანაც ეს მისთვის ახალი აღმოჩენა იყო, მასთან ერთათ გაოცდებოდა, უეჭველია, ყველა მკითხველი. რა თქმა უნდა, ამ ამბავმა ჩვენც გაგვაკვირვა, თუმც ჩვენთვის აქ ახალი არა იყო რა. ჩვენ გავგაოცა სულ სხვა გაჩემობამ.

მკითხველს, უეჭველია ახსოვს ჩვენსა და ბ. არ. ჯორჯაძეს შორის ატეხილი პოლემიკა კაპიტალის კონცენტრაციის შესახებ. ახსოვს აგრეთვე ისიც, თუ ბ. არ. ჯორჯაძემ როგორ მოიტება ფეხი ამ პოლემიკის დროს. მაგრამ ეს როდი გვინტერესებს ჩვენ აქ. საქმე ის არის, რომ ამ პოლემიკის დროსაც ბ. ჯორჯაძემ ჩაიდ-ნა ის, რაშიაც მას ამ უკამათ ბ. პლესსი სამართლიან ბრალსა დებს. განსხვავება გამოწვეულია მხოლოდ დროისა და გარემოების მიხედვით. თუ ბ. პლესსთან პოლემიკაში ბ. ჯორჯაძეს სიტყვა-სიტყვით ამოუწერია ბროკჰაუსის ლექსიკონიდან და სხოლიოებში კი კონტის. სპენსერის, ბლუნჩლის და სხვათა დიდ-ტანიანი წიგნები უმოწმებია, სამაგიეროთ ჩვენთან პოლემიკის დროს მას სიტყვა-სიტყვითვე ამოუწერია ელტარდ ბერნშტეინის წიგნაკიდან ამ სათაურით: „Исторический материализм“, რომელიც, მის საბედნიეროთ გასულ წელს გადმოუთარგმნიათ რუსულ ენაზე, და სხოლიოებში კი იმის ნაცვლათ, რომ ბერნშტეინის წიგნაკის გვერდები ეჭვენება, გამოსულა და იმ წყაროებზე გვითითებს, რომლებითაც ბერნშტეინს უსარკებლია თავის წიგნაკის შედგენის დროს და რომლებიც მას (ბერნშტეინს) იმავე წიგნაკში აქვს დასახელებული. ასე წარმოიდგინეთ, ბ. ჯორჯაძის კადნიერება იქამდისაც მივიდა, რომე ჩვენ გვიჩნია, სანამ მას პასუხს გავცემდით, ბროდრიკის თხზულება „English Land and English Landlords“ (ინგლისის მამული და ინგლისის მიწისმფლობელნი) გადაგვეკითხა, ე. ი. წაგვეკითხა ის თხზულება, რომლის არსებობა მას მხოლოდ ბერნშტეინის დასახელებული წიგნაკიდან გავგო, მაგრამ მისი კლო კი ისეთი იყო, რომ გულუბრყვილო მკითხველს ეგონებოდა, ბ. ჯორჯაძეს ეს თხზულება ზედმიწევნით შეუსწავლიაო<sup>6)</sup>, და იმას ვინ წარმოიდგენდა, რომ ბროდრიკის დასახელებული თხზულება, რომლიდანაც მოყვანილი ცნობებით ბ. ჯორჯაძის წერილები აქრელებული იყო, მას თურმე თვალითაც არ ენახა და ჩვენი თავმოწმონე ავტორი თურმე სხვის ანგარიშზე ქეიფობდა. ყოველივე ეს დაწვრილებით ჩვენ გავიგეთ იმ დროს, როცა პოლემიკა დასრულებული იყო. პოლემიკის დროს კი ჩვენ მეტათ გატაცებული ვიყავით აზრის და შეხედულების კრიტიკით და ვერ წარმოვდგენდით, თუ ჩვენი მოწინააღმდეგე ისე სულმდაბალი იქნებოდა, რომ ლიტერატურულ ქურდობას ჩაიდენდა! და მერე ის ადამიანი, რომელიც მუდამ თავაზიანობას და ზნეობას გვიქადაგებდა! წარმოიდგინეთ, იმ დროს იმდენათ დარწმუნებული ვიყავით ბ. ჯორჯაძის გულახდილობასა და გულწრფელობაში, რომ იყო ერთი წუთი, როცა ჩვენ

1) იხ. „ცნ. ფ.“ № 1707 და 1708. მეცნიერული ბროკჰაუსი.  
2) აქ იყო ერთი საეჭვო გარემოება. როცა ვისიმე თხზულებას იმოწმებ, მიღებულია თვით ამ თხზულების გვერდიც აღნიშნო, უამისოთ მოწმობა კარგავს მნიშვნელობას. ბ. ჯორჯაძე კი არასოდეს არ იქცევა ამნაირათ. ქვევით ჩვენ გავიგებთ, თუ რათ მოხდის მას ეს.  
3) თუმც ბ. პლესს დაუფერეთ, მისთვის ბ. ახალმოსულს გულთმი-

სნობას უშეკლია. მაგრამ ჩვენი აზრით, ეს უბრალო ლიტერატურული ოინბაზობაა, გარეგანი მოკავშილეობა. ბ. ახალმოსულს ჯერ უსაამისო ბრა ჩაუდენია რა, რომ ასეთი ცულთმისნობის სახელი დამსახურებინოს.  
4) იხ. „ივერი“, № 40, ფელეტონი, სათაური: ბიბლიოგრაფია.  
5) ე. ი. სწორეთ ისე, როგორც ბ. პლესს უჩნია: სანამ შენ პასუხს მიმცემდე, გირჩევ ჯერ კონტის და სპენსერის თხზულებანი წაკითხე!

მოვინდომეთ ბ. ჯორჯადისთვის მიგვემართო და გვეთხოვა ბროდრიკის წიგნი<sup>6)</sup>, სრულიათ დარწმუნებული, რომ სხვა გზით ჩვენ ამ წიგნს საქართველოში ვერ ვიშოვნიდით. მაგრამ სწორე მოგახსენოთ; ჩვენ მაშინვე დავანებეთ თავი ამ ჩვენ გულუბრყვილო განზრახვას. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბ. ჯორჯადის მეცნიერულ მომზადებაში, რასაც ერუდუციას უწოდებენ, ჩვენ ჩქარა დაგვებადა ეჭვი. ეს ეჭვი სავსებით გაამართლა მისმა ამჟამინათვე გატენილმა მსჯელობამ ინგლისის ოფიციალურ სტატისტიკის შესახებ. ჩვენი ეჭვი ამ მხრით იქამდის მივიდა, რომ ჩვენ გადაჭრით ვუთხარით ბ. ჯორჯადეს: თქვენ ან სრულებით არ წაგიკითხავთ თქვენ მიერ დასახელებული წყარო<sup>7)</sup>, ან თუ წაგიკითხავთ, ვერ გაგიგიათ (იხ. „კალი“ 1901 წ. № 39). ეს მხილება ბ. ჯორჯადემ უყურადღებოთ დატოვა. პირველათ ჩვენთვის გაუგებარი იყო ასეთი უყურადღებობა. მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ გავიგეთ, თუ რაში იყო საქმე, შეკრძელოთ, თუ რა ედვა საფუძვლათ ბ. ჯორჯადის ერუდიციას, და სწორე მოგახსენოთ, ძლიერ გვეწყინა ამის გაგება. მეტათ და მეტათ სამწუხაროა, როცა ასეთი ვაგლახი საქმის, როგორაც პლაგიატობა, ანუ ლიტერატურული ქურდობაა, ჩაღწევა კაცს თავზე დაატყდება. ჯერ ქურდობა რა არის, და მერე ლიტერატურული ბ. ჯორჯადეც სწორეთ ამ ქურდობაში მყავდა ჩაქერილი, არც მეტი, არც ნაკლები. საქმე იყო, რომ ეს შეტყობისთანავე მემხილებია საჯაროთ, მისი საქციელი დამეგმო იქ, სადაც მას თავის ყალბი საქონელი გამოაქვს გასასაღებლათ. მაგრამ ჩვენ პირველ ხნობით ბ. პლემსთან შედარებით ბევრათ უფრო ღმობიერათ მოვექცეთ ბ. ჯორჯადეს. ბ. პლემსმა, გაიგო თუ არა ბ. ჯორჯადის არა სასაქადულო მოქმედება, არც აცივა, არც აცხელა, მაშინვე საჯაროთ გამოაცხადა. შეიძლება ბ. პლემსის საქციელი ამ შემთხვევაში უფრო სამართლიანია, ვინაიდან ასეთი აზრის დამალვა საზოგადოთ კარგი არა დროს არ არის. მაგრამ ბ. ჯორჯადის შესახებ ჩვენ უფრო მეტი ღმობიერება გამოვიჩინეთ. ჩვენ შევიკავეთ თავი. ვიფიქრეთ: ბ. ჯორჯადე მწერლობაში ახალი გამოგონილი და ჯერ სრულიათ გამოუცდელი, ამიტომ პოლემიკური ციებ-ციხვების დროს ადვილათ შენადლებელი იყო რომელიმე შეცდომაში შესულიყო და ლიტერატურული ქურდობა ჩაედინა; მაგრამ მოვა დრო, და ჩვენი ავტორი გამოცდილებას შეიძენს და ამ მრუდვ და ყალბ გზას აშორდება. ახლა კი მისი მხილება, სხვა რომ არა იყოს რა, ჩვენი მხრით ნამეტანი გულქვაობა იქნება. თუ მაინცა და მაინც ამ ზნეს არ მოიშლის, სად წამივა. ასე ვფიქრობდით ჩვენ. და აი სწორეთ ამ დროს წავიკითხეთ ბ. პლემსის ზვეით დასახელებული წერილი, რომლიდანაც ვრწმუნდებით, რომ ბ. ჯორჯადე შეურყეველათ მიდის ერთხელ მის მიერ არჩეული გზით. ჩვენ ახლა კარგათ გვესმის, თუ როგორ ძნელია იმის მოშლა, რაც ერთხელ კაცს წაატდება. თუ დაიჯერებთ, ჩვენ არც ბ. პლემსის წერილის შემდეგ გვიწოდდა ბ. ჯორჯადისთვის ძველი ცოდვა გაგვეხსენებია, და ამას ორი გასამართლებელი საბუთი ქონდა.

ერთი ისა, რომ ამ ჩემი მხილებით ყველაზე უწინ ბ. პლემსი გაიხარებდა და, უნდა გამოეტყდეს, მე არც იმდენი სულგრძელი აღმიანი ვარ, რომ მტერის გახარება მსურდეს. მეორეც ისა, რომ როცა ჩვენ წინ ორი მოქიდავე იბრძვის, და ერთი იმათგანი მეორეს წააქცევს და უწყალოთ და დაუზოგველათ ცემას დაუწყებს, მესამეს მოვალეობაა, დამარცხებულ მხარეს უშველოს, თუნდაც იტოდეს, რომ ეს უკანასკნელი

<sup>6)</sup> უნდა გამოვთქვათ, რომ ინგლისურ: ჩვენ ბ. ჯორჯადესათვის არ გვესმის, მაგრამ ლექსიკონის საშუალებით მას ჩვენ თავს გაპართყვედით. რასაკვირველია, ეს სრულებით არ ემგვანებოდა ბ. ჯორჯადის მიერ ბროკჰაუსის ლექსიკონით „სარგებლობას“!

<sup>7)</sup> ლაპარაკია „The Small industries of Britain“-ზე.

ლი დამნაშავეა პირველის წინაშე; ყოველ შემთხვევაში გამარჯვებულ მხარეს მაინც არ დაეხმაროს და თითონაც არ დაუწყოს ცემა ისეთაც დამარცხებულ მოქიდავეს, მაგრამ ამ მოსახზრებათ სძლია ორმა გარემოებამ. ერთი გარემოება ისაა, რომ, როგორც ამბობს ერთი ლათინური ანდაზა: თუმცა ყვარელია პლატონი, მაგრამ ქვემარტება კიდევ უფრო საყვარელია (amicus Plato, sed magis amica veritas!); თუმცა გვებრალებოდა ბ. პლემსის მათრახების ქვეშ გაწოლილი ბ. არ. ჯორჯადე, მაგრამ ქვემარტება მაინც თხოულობდა გამომეღვენებას. მაგრამ ჩვენ ხმის ამოდება გვაძულა თვით გამათრახებულის და მიწაზე გაწოლილის უკმეზობამ და სრულებით უადგილო მუქარამ და ამჟამამ. თქვენ იქნება გგონიათ, რომ, როცა ბ. ჯორჯადე ლიტერატურულ ქურდობაში დაიჭირეს, მას თავის საქციელის შერცხვენოდეს—სრულებითაც არა. მან საჯაროთ აღიარა, რომ მართალია, მე კი ამოვწყვე სიტყვა-სიტყვით ბროკჰაუსის ლექსიკონიდან და სხოლიოებში კონტი, სვენსერი და სხვები ვუჩვენეო, მაგრამ მე (ე. ი. არჩ. ჯორჯადეს) ამის უფლება მქონდაო. შემდეგ მოყვა პლაგიატობის გამართლებას და ამასთანავე შეუდგა ლიტერატურული ქურდობის «თეორიის» შექმნას. ეს თეორია იმდენათ საინტერესოა, რომ ჩვენ ნებას ვაძლევთ თავის თავს იგი აქვე მოვიყვანოთ თვით ავტორისვე სიტყვებით, მით უმეტეს რომ თავისებურ ორიგინალობას ეს „თეორია“ არ უნდა იყოს მოკლებული. ჩვენი აზრით აქ ბ. ჯორჯადე თვით ცნობილი ვენატელოლის ორდენის გამოჩენილ მეცნიერთაც არ ჩამოუვარდება. აი წაიკითხეთ და დასტკბით:

... „შთქლა ჩვენა ცოდნა მწიგნობრული ხასიათისა! ბროკჰაუსის ლექსიკონისთანა წიგნებიც (მაშ ბროკჰაუსის ლექსიკონებსაც არ ჯერდება ავტორის ეს დავისხომოთ, შემდეგ გავგვადგება. მ.) იმ აზრით არის შედგენილი, რომ იქ შეგროვილი ცნობებით (ნუ დაივიწყებთ, ბ. ჯორჯადე, რომ თქვენ სიტყვა-სიტყვით სარგებლობას ვაბრალებდენ!) საჯაროთ სარგებლობა შეიძლებოდეს. ამ ლექსიკონში მოთავსებულია სხვადასხვა სამეცნიერო კითხვების შესახებ ცალკე ბიბლიოგრაფიული ხასიათის წერილები. როცა თქვენ გაინტერესებთ რომელიმე ამგვარი კითხვა, თქვენ ამ წერილებს გადაიკითხავთ, გაიხსენებთ, რაც წავიკითხავთ აღძრულ კითხვის შესახებ (აქ კი ძალაუფლებურათ დავეკითხოთ ბ. ჯორჯადეს: რათ შეგვაშინა მან მე და ბ. პლემსი? რათ არ გვიჩინა პატარა „ბიბლიოგრაფიული ხასიათის წიგნილების“ წაკითხვა ბროკჰაუსის ლექსიკონში და კონტის, სვენსერის და ბროდრიკის წიგნებთან გაგვზავნა? რა კარგი რჩევა ცოდნა! გვაკვირვებს, თითონ რათ არ მოიქცა ასე!). ამგვარათ შრომას იადვილებთ (ოდონდაც!), ხელმეორეთ არ გქირდებათ ვრცელი გამოკვლევის გადაკითხვა (თავის პატივი ძლიერ ცოდნა ბ. ჯორჯადეს!). ხოლო როდესაც თქვენ ხელმძღვანელობთ ამგვარი წყაროთი, თქვენის წერილების სხოლიოში იმ წიგნების აღნუსხვის უფლება გაქვთ, რომელნიც ნამდვილათ წაკითხავთ (ეს რომ ასეც იყოს, რომ მართლა იყოს ასეთი ახირებული უფლება, იმ შემთხვევაშიაც მტყუანია ბ. ჯორჯადე, რადგანაც მან სხოლიოში დასახელა ისეთი წიგნები, რომლებიც მას თვალითაც არ უნახავს. ამას ჩვენ ქვევით დავინახავთ). თვით წერილის ტექსტში კი თქვენ სრულიათ თავისუფლათ შეგიძლიათ ისარგებლოთ ხასხასი მასლით, რადგან ეს მასლია, ეს ლექსიკონიდან ამკითხული წერილი თქვენ მიერ წაკითხული და თქვენ წერილის სხოლიოში მოყვანილ ავტორიტეტებსა და მუარებულებათ“ (ხაზს ყოველგან ჩვენ ვუსვამთ. „ცნ. ფურც.“, № 1731).

ჩვენ გვეძნებოდა ნამდვილი სახელი ვუწოდოთ, როგორც ამ სიტყვებში გამოთქმულ აზრს, ისე მის გამოთქმელს. ეს მკითხველისათვის მიგვიწვდია. ხოლო ჩვენ კი ამ სიტყვების წა

კითხვის შემდეგ გავიგეთ, თუ ვისთან გვეკონდა საქმე, დავრწმუნდით, რომ ბ. ჯორჯაძე აღარ ხუმრობდა, და გადაწყვეტეთ მისი ძველი ცოდვების მხილება, იმ მიზნით, რომ, თუ ბ. პლებსის მხილებამ ვერ გასკრა, შეიძლება ჩვენმა მხილებამ იქონიოს გავლენა, მით უმეტეს, რომ ბ. პლებსთან იმით მართლულობდა თავს, რომ ბროკჰაუსას ლექსიკონისთანა წიგნიდან ამოწერაც ლიტერატურულ ქურდობათ არ ჩაითვლებოდა, და აქ უბრალო წიგნიდან უმტკიცდება სიტყვა-სიტყვით ამოწერა ნამდვილ წყაროს დაუსახლებლათ. ეს წიგნი გახლავთ ზევით დასახელებული ბერნშტეინის: „Истор. материализм“. ჩვენი აზრის დასამტკიცებლათ შევადაროთ რამდენიმე ადგილი ბ. ჯორჯაძის წერილებიდან, რომლებიც მას ბერნშტეინის წიგნიდან სიტყვა-სიტყვით ამოუწერია.

ბ. ჯორჯაძე გვაწვდის ზოგიერთ ცნობებს ინგლისის მიწათ-მფლობელობის შესახებ და გვარწმუნებს, რომ ეს ცნობები მას ბროდრიკის წიგნიდან აქვს ამოღებული. შემდეგ ჩვენი ავტორი ასე განმარტავს:

„1876 წელს 33.000.000 აკრიდან 14.000.000 აკრი მიწა ეკუთვნოდა (ინგლისში და უელსში) 1,704 მემამულეს, თითოეულ მათგანს ქონდა 3,000 აკრი და მეტიც. დანარჩენი 19 მილ. აკრი იყოფებოდა 150,000 მესაკუთრეთა შორის. 1892 წელს 176,520 იყო იმისთანა თუც თითოეულათ ქონდათ ანა უმეტესს 10 აკრის“. შემდეგ განილია ცხრილი:

მამული	1885 წ.	1895 წ.	თუ დაკლება.
3ექტარი.	232,955	235,481	+2526
2—20	64,715	66,625 <sup>8)</sup>	+1910
20—40	79,573	81,245	+1672
40—120	13,877	13,568	- 307
120—200	5,489	5,219	- 260

ასე რომ ინგლისში მხოლოდ 2,46% ა ძლიერ დიდი მემამულეებისა, 27—28% კი მთელი შემუშავებული ტერიტორიისა დიდ მემამულე უჭირავთ და 66% ამუშავებენ გლეხები („ცნ. ფურც.“ № 1582).

„По сочинению Brodrick, English Zand and English Zandlords“, въ 1876 году въ 33.000,000 акровъ земель (занесенныхъ въ опись английскихъ земель), въ Англии и Уэльсѣ около 14.000,000 акровъ составляли собственность 1,704 земледѣльцевъ, обладавшихъ каждый 3,000 акрами и свыше. Остальные 19 милл. акровъ раздѣлялись между 150,000 собственниками (съ однимъ акромъ и больше и массой обладателей мелкихъ участковъ). Въ 1892 году Mulhall считалъ для всего Соедин. Королевства число лицъ, обладавшихъ болѣе, чѣмъ 10 акрами, равнымъ 176,520“.

აქ ბ. ჯორჯაძეს გამოუშვია რამდენიმე პრწკარი და შემდეგ მოყვანილია ცხრილი, რომელიც შედგენილია ლურჯი წიგნის ცნობებიდან:

Собственность.	1885 г.	1896 г.	Ув. или ум.
2—20 гект.	232,955	235,481	+2526
20—40 „	64,715	66,625	+1910
40—120 „	79,573	81,245	+1672
120—200 „	13,875	13,568	- 307
200—4 მეტი	5,489	5,219	- 270

ბ. ჯორჯაძეს აქ კიდევ გამოუშვია კარგა ბლომა ადგილი. შემდეგ ნათქვამია: „Такимъ образомъ почти 27—28% обрабатываемой поверхности Великобританіи занята и только 2,46 проц. гигантскими. За то поль средними и

<sup>8)</sup> ბ. ჯორჯაძეს შეცდომით ამის მაგივრათ უხის 68,625.

крупными хозяйствами находится свыше 66 проц.“ მ. Бернштейнъ. „Исторический материализм“. Пер. Канцель. 1901 г., стр. 113—115.

როგორც ხედავთ, ყველა ეს ცნობები ბროდრიკის წიგნიდან აქვს ამოღებული და არა ბროდრიკის, თუმც იგი ჩვენ ბროდრიკთან გვეზავნის. მაგრამ უფრო სამწუხარო აქ სხვა ვარეკობებია. უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ავტორის დასკვნა, რომელიც მას მის მიერ მოყვანილ ცხრილიდან გამოყავს, სრულებით არ გამოდის იქიდან, რაც ჩვენ მაშინვე შევნიშნეთ. ბერნშტეინი სანამ ამ დასკვნამდის მოვიდოდა, მას ამის გასამართლებელი ცხრილი აქვს მოყვანილი მე-114—115 გვერდზე, რისთვისაც ჩვენ ავტორს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია, და აქედან გამოყვანილი დასკვნა სრულებით უადგილოთ მეორე ცხრილისთვის მიუქცერება. მეორე ბროდრიკის წიგნი შეიცავს მხოლოდ 1876 წლის ცნობებს, რაც შეეხება შემდეგი წლების ცნობებს ეს ბერნშტეინს სხვა წყაროებიდან აქვს ამოღებული; ბ. ჯორჯაძის წერილიდან კი გამოდის, რომ ყველა ეს ცნობები ვითომც ბროდრიკის წიგნი იყოს მოქცეული. მესამე... მაგრამ კმარა. მოვიყვანოთ კიდევ ერთი-ორი მაგალითი, თუ როგორ უცოდურათ სარგებლობს ბ. ჯორჯაძე ბერნშტეინის წიგნით.

„ვანდერველდის აზრით, ბელგიის დიდი მამულის მფლობელობა თანდათან იშლება და ირღვევა. მაშინ როდესაც მიწის-მფლობელთა რიცხვი 201,226-დან (1846 წელს) ავიდა 293,524-დე (1880), ამავე დროის განმავლობაში მოიჯარადრეთა რაოდენობამ 371,320-დან 616,872-დე იმატა. 3/4 ბელგიის სახნავ-სათეს მიწას (2.000,000 ჰექტარს) მესაკუთრეები ამუშავებენ“ („ცნ. ფურც.“, № 1583).

„პრუსიაში გლეხობას უჭირავს 21.875,000 ჰექტარი 32.591,000-დან, ე. ი. 3/4. შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს, რამდგომარეობაშია საქმე ჰოლანდიაში:

მამულის სიდიდე.	1844 წ.	1893 წ.	მამატ. ანუ მოკლ.
1—5 ჰექტ.	66,842	77,767	+10,925
5—10 „	31,552	94,199	+62,647
10—50 „	48,278	51,940	+ 3,663
მეტი 50 „	3,554	3,510	- 44


ცხრილი აშკარათ გვიჩვენებს წვრილ მესაკუთრეთა მომატებას და დიდ მიწის-მფლობელთა შემცირებას“ („ცნ. ფურც.“, № 1583).

„По Вандервельде, въ Бельгii и крупное землевладѣніе, и обработка земли подвержены дѣйствующей децентрализаціи. Последняя всеобщая статистика показываетъ увеличеніе числа землевладѣльцевъ съ 201,226 въ 1846 г. до 293,524 въ 1880 г.; за то все время число арендаторовъ увеличилось съ 371,320 до 616,872. Вся земледѣльчески-обрабатываемая поверхность Бельгii занимала въ 1880 г. неполныхъ 2.000,000 гектар., изъ которыхъ болѣе трети обрабатывалось собственниками“. „Верншт.“, გვ. 112.

„Въ Пруссii крестьяне занимаютъ около 3/4 всей земледѣльчески-обрабатываемой поверхности, 22.875,000 гект. изъ 32,591,000. Если мы отъ Пруссii обратимся къ сосѣдней Голландii, то найдемъ:

Размѣры хозяйствъ.	1884 г.	1893 г.	Увел. или уменьш.
1—5 гект.	66,842	77,767	+10,925
5—10 „	31,552	94,199	+62,647
10—50 „	48,278	51,940	+ 3,662
свыше 50 „	3,554	3,510	- 44





Здѣсь число крупныхъ хозяйствъ прямо уменьшилось, а число мелкихъ крестьянскихъ хозяйствъ утроилось. „Вѣрнит.“, გვ. 111 - 112.

